ფაქტობრივი ინფორმაცია შედეგების შესახებ

პროგრამის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ რეგიონული პროექტები

2020 წლის სექტემბერი

ძირითადი ციფრები

- 2 თანმიმდევრული ფაზა 2015 წლიდან
- 4 რეგიონული პროექტი, რომელთა ბიუჯეტია 3,692,400 ევრო

რა არის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“?

პროგრამის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ (PGG) საშუალებით, ევროპის კავშირი და ევროპის საბჭო თანამშრომლობენ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა, უკრაინა, ბელარუსი) მმართველობის განსამტკიცებლად.

PGG ითვალისწინებს კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის, რათა მათ შეძლონ საკუთარი კანონმდებლობის და პრაქტიკის დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში.

პროექტი: ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის და პრევენციის ზომების განმტკიცება (2019 წლის იანვარი - 2021 წლის დეკემბერი)

*PGG II მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობების განმტკიცებას **ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლისა და პრევენციის კუთხით**. კერძოდ, იგი ყურადღებას ამახვილებს საერთო გამოწვევებზე და ახალი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებასა და მათ მიღებაზე, კორუფციასთან, ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ეფექტურად ბრძოლის მიზნით.*

- მომზადდა **ინსტრუმენტთა კრებული პარლამენტის წევრთა ქცევის კოდექსის** შესამუშავებლად, ქცევის კოდექსის მომზადების ან არსებული კოდექსის გაუმჯობესების პროცესში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მხარდაჭერის მიზნით. საზედამხედველო ორგანოებს და აღმოსავლეთ პარნტიორობის ქვეყნების პარლამენტარებს წარედგინათ საუკეთესო პრაქტიკა დეპუტატთა ქცევის კოდექსისა და ინტერესთა კონფლიქტის რეგულირების შესახებ.
- განმტკიცდა პრაქტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების შესაძლებლობები, **ტერორიზმის დაფინანსებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისთვის მიზნობრივი ფინანსური სანქციების განხორციელების კუთხით**; სასწავლო აქტივობის საფუძველზე შეიქმნა პლატფორმა აღნიშნულ სფეროში რეგიონული თანამშრომლობის ხელშესაწყობად.
- პროექტმა ხელი შეუწყო **აქტივების აღდგენის კუთხით თანამშრომლობის ზრდასა და კარგი პრაქტიკის განვითარებას** აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სახელმწიფო ორგანოებს შორის. რეგიონულმა პროექტმა უზრუნველყო ინსტრუმენტები, საუკეთესო პრაქტიკა, ინფორმაციის გაცვლა და კონტაქტების ქსელის გაფართოება არაერთი რელევანტური თემის გარშემო, რითაც ხელი შეუწყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მიმდინარე რეფორმებს.

[პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე.]

პროექტი: ადვოკატის პროფესიის განმტკიცება ევროპული სტანდარტების შესაბამისად (2019 წლის ივლისის - 2021 წლის დეკემბერი)

*PGG II მხარს უჭერს ადვოკატთა ასოციაციებს, ასოციაციებს შორის თანამშრომლობის განმტკიცების კუთხით, რათა გაუმჯობესდეს მათი ფუნქციონირება და დამოუკიდებლობა და უზრუნველყოფილი იქნას **უკეთესი სამართლებრივი დაცვა მოქალაქეებისათვის**.*

- ფაქტების დამდგენი 5 მისიისა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან გამართული 33 ორმხრივი შეხვედრის საფუძველზე, პროექტის ფარგლებში მომზადდა და გაზიარდა **რეგიონში ადვოკატთა ფუნქციონირების პროცედურული და ინსტიტუციური მოწყობის შედარებითი მომიხილვა**, რომელშიც

წარმოდგენილია რეკომენდაციები არსებული ხარვეზების ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოგვარებასთან დაკავშირებით.

- **შესაძლებლობების განვითარების აქტივობების** საფუძველზე გაიზარდა 30 ადვოკატის ცნობიერება სხვა ქვეყნებში იურიდიული პროფესიის ფუნქციონირების, ადვოკატთა პროფესიონალიზმის გაუმჯობესებისა და რეგიონული თანამშრომლობის საჭიროების შესახებ.
- **ადვოკატთა ასოციაციების რეგიონული თანამშრომლობის ონლაინ ქსელის სახით შეიქმნა ვებ-გვერდი,** რომელმაც ხელმისაწვდომი გახადა ამომწურავი ინფორმაცია იურიდიული პროფესიის ევროპული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში იურიდიული საქმიანობის მარეგულირებელი ჩარჩოების თაობაზე.

[მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე.]

პროექტი: ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე: სტამბოლის კონვენციისა და გენდერული თანასწორობის სხვა ევროპული სტანდარტების განხორციელება (2019 წლის იანვარი - 2021 წლის დეკემბერი)

PGG II მხარს უჭერს ქალებისა და ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის განმტკიცებას, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) შესაბამისად, და ხელს უწყობს კონვენციის რატიფიცირებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

- პროექტმა რეგიონში **გაზარდა ცნობიერება მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობისა და სტამბოლის კონვენციის შესახებ.** იგი პარტნიორებს სტამბოლის კონვენციის ხელმოწერისა და რატიფიცირებისკენ მოუწოდებს, მოლდოვას რესპუბლიკაში ხელს უწყობს პარლამენტის მიერ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შესახებ კანონპროექტის მიღებას, სომხეთსა და უკრაინაში კონვენციის რატიფიცირებისთვის მზადებას და აზერბაიჯანში კონვენციის შესაძლო ხელმოწერის შესახებ დისკუსიებს.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი მენტორინგის საპილოტე პროგრამა 60 იურისტს დაეხმარა საკუთარი შესაძლებლობების განვითარებაში, მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობისა და ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების სათანადო იურიდიული საშუალებების შესახებ **სხვა იურისტების მომზადების კუთხით**.
- პროექტმა ხელი შეუწყო მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვოდმობის ინდიკატორების შემუშავებას - კერძოდ, პროექტის ფარგლებში განხორციელდა რეგიონული აქტივობის ორგანიზება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მაღალი რანგის 35-მა გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან.

[მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე.]

პროექტი: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის განმტკიცება დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლთათვის, დაცვის არა-სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით (2019 წლის თებერვალი - 2021 წლის დეკემბერი)

*PGG II მიზნად ისახავს **დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას** დაცვის არასამართლებრივი მექანიზმების საშუალებით; თანასწორობის ორგანოების/ომბუცმენთა ოფისების შესაძლებლობებისა და*

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განმტკიცებას; და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

- პროექტმა ხელი შეუწყო **სომხეთში ეროვნული უმცირესობების შესახებ კანონპროექტის და მოლდოვას რესპუბლიკაში თანასწორობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების** ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. ბელარუსში პროექტის ფარგლებში მომზადდა პირველი **კვლევა დისკრიმინაციის შესახებ,** რომლის თანახმადაც საჭიროა მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება და დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით სახელმწიფო ორგანოების ძალისხმევის გააქტიურება.
- პროექტის ფარგლებში მომზადდა რეკომენდაციები დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ უკრაინაში, სომხეთსა და მოლდოვას რესპუბლიკაში **მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესების თაობაზე**.
- სემინარებისა და რეგიონული შეხვედრების საშუალებით, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნის მონაწილეობით მიმდინარეობდა, პროექტმა განამტკიცა **ურთიერთობები თანასწორობის ორგანოების/ომბუცმენთა ოფისების წარმომადგენლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის,** დისკრიმინაციის მსხვერპლთან კომუნიკაციისა და საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმირების კუთხით. პროექტმა ბელარუსსა და აზერბაიჯანში განამტკიცა საჯარო დაწესებულებების, თანასწორობის ორგანოების შესაძლებლობები დისკრიმინაციის შესახებ ევროპული სტანდარტების გამოყენების მიმართულებით. შედეგად, აზერბაიჯანის ომბუცმენის ოფისის მანდატი გაფართოვდა და მოიცავს დისკრიმინაციასაც.

[მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე.]

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ:
https://pjp-eu.coe.int/en/web/pgg2/regional

საკონტაქტო ინფორმაცია:
Ogdp_pgg@coe.int
@partnershipgovernance
@CoeEapPCF